„ვამტკიცებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი სალომე მელია

აჭარის ჩემპიონატი ჭადრაკში
8,10,12,14,16 და 18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის

ქ. ბათუმი, 9 – 15 მარტი, 2024 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტურნირის ორგანიზატორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია;

ტურნირის ფინანსური მხარდამჭერი: აჭარის სპორტის დეპარტამენტი;

ჩატარების სისტემა: ჩემპიონატი ჩატარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.
ტურნირში ფიდე-ს რეიტინგის დათვლა განისაზღვრება მონაწილეთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ.
მონაწილენი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები აჭარის ყველა რაიონიდან, **დაბადებულნი 2016, 2014, 2012, 2010, 2008 და 2006 წლის 1 იანვარს და შემდეგ.**
სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
დროის კონტროლი: თითოეულ მონაწილეს მიეცემა 60 წუთი პარტიის ბოლომდე, თითოეულ სვლაზე 30 წამის დამატებით.
თაი-ბრეიქი: თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით:

შვეიცარული ტურნირის დროს:
1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

წრიული ტურნირის დროს:
1. ურთიერთშორის შეხვედრა;

2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

რეგისტრაცია:

მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ანკეტა:
https://forms.gle/eqGnHA6SbbeVewTq9

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2024 წლის 7 მარტის 19:00 საათი.

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

ჩემპიონატში მონაწილეობისათვის მოჭადრაკეებმა უნდა გადაიხადონ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე: **სს საქართველოს ბანკი GE30BG0000000584705115**

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრმა და გაწევრიანების მსურველმა **18** წლამდე ასაკის პირებმა უნდა შეავსონ ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა – **https://forms.gle/vJGBfSvyoMGPpAgDA** ატვირთონ შესაბამისი დოკუმენტები (პასპორტის, პირადობის ან დაბადების მოწმობის ასლი, წლიური საწევრო თანხის გადახდის ქვითარი).

ტურნირის განრიგი:

ტურნირის გახსნა	9 მარტი	13:00 სთ.
I ტური	9 მარტი	14:00 სთ.
II ტური	10 მარტი	13:00 სთ.
III ტური	11 მარტი	13:00 სთ.
IV ტური	12 მარტი	13:00 სთ.
V ტური	13 მარტი	13:00 სთ.
VI ტური	14 მარტი	13:00 სთ.
VII ტური	15 მარტი	13:00 სთ.
ტურნირის დახურვა	15 მარტი	16:00 სთ.

საერთო წესები:

ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება აჭარის ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე.

მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

გამარჯვებულები: - I, II, III საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები, დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით, ხოლო აჭარის 8,10,12,14,16 და 18 წლამდე ასაკის ჩემპიონი ჭაბუკი და გოგონა დაჯილდოვდება აგრეთვე თასით და მივლინებული იქნება შესაბამისი ასაკის 2024 წლის საქართველოს ჩემპიონატზე.

არასაპატიო მიზეზით ტურნირის მიტოვების შემთხვევაში მონაწილე დისკვალიფიცირებული იქნება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების (#10. 20/01/2014 წ.) შესაბამისად.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია

მთავარი მსაჯი: ფიდეს არბიტრი ლეონიდ ნეურონოვი